# ხელშეკრულება №106

ქ. მცხეთა — 11 ოქტომბერი 2011 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ატაშელის სახით და მეორეს მხრივ შპს „კრიბჭე 2009", მისი დირექტორის მარიამ ლომაშვილის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „მცხეთობის" დღესასწაულთან დაკავშირებით უცხოელი და ქართველი სტუმრების საბანკეტო მომსახურება. (CPV:55300000)

## 2. მომსახურების ვადა და ღირებულება

2.1 სტუმრების მომსახურების ვადა 2011 წლის 14 ოქტომბერი.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება 18 050 (თვრამეტიათასორმოცდაათი) ლარი.

## 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ნაწილობრივი თანხა გაიცემა ავანსის სახით.

## 4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1 უზრუნველყოს საბანკეტო მომსახურება.

4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 მომსახურების არაჯეროვნად ან არშესრულების და გადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" არ აუნაზღაუროს მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მთლიანი მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8 ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 11. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

11.1 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას მოახდენს მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულების გაერთიანების გენ. დირექტორი გონა ქავთარაძე.

## 12. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი"
შპს „კარიბჭე 2009"
ს/კოდი: 204575584
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"
ცენტრალური ფილიალი
ბ/კ **BAGAGE22**
ა/ა 877754100

მის: ქ. მცხეთა, მამულაშვილის ქ. №2

დირექტორი

მ. ლომაშვილი

„შემსყიდველი"
მცხეთის მუნიციპალიტეტი
ს/კოდი: 236094196
ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს
მცხეთის ფილიალი
ბ/კ **LBRTGE22**
ა/ა **GE93LB0120130269077000**

მის: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის №73

საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილე

გ. აბაშვილი